სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

25 დეკემბერი 2024 B24164189/4

გადაწყვეტილება # B24164189/4 (25/12/2024 17:36:41)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**B24164189** 24/12/2024 10:47:13 (განმცხადებელი: გიორგი ქურდაძე/61001002353/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს მთავარი არხი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **404574518**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.ა მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის წარმოსადგენია გიორგი გაბუნიას ნების გამოვლენის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული, პირადი განცხადება გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული, უფლებამოსილი ორგანოს - პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. გიორგი ქურდაძის (პ/ნ: 61001002353) მიერ განცხადებით მოთხოვნილია შპს 'მთავარი არხის' (ს/ნ 404574518) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია. კერძოდ, გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გიორგი გაბუნიას განთავისუფლება ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული შეტყობინების საფუძველზე.

რეგისტრაციის საფუძვლად წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის დამოწმებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად,

სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებზე უფლებამოსილი პირების ნების გამოვლენის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იქნას სანოტარო წესით. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ იგი დადგენილი წესით დამოწმებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ან მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა პირის მიერ, ან თუ ხელმოწერა შესრულებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შესაბამისად, მოთხოვნილი ცვლილების რეგისტრაციის მიზნით წარმოსადგენია გიორგი გაბუნიას ნების გამოვლენის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული, პირადი განცხადება გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გენერალური დირექტორის ცვლილების წესს ითვალისწინებს შპს 'მთავარი არხის' (ს/ნ 404574518) რეგისტრირებული წესდება, რომლის 5.4. მუხლის 'მ' პუნქტის მიხედვით, პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას გენერალური დირექტორის/დირექტორის დანიშვნასა და გამოწვევასთან დაკავშირებით. ამავდროულად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 126-ე მუხლის თანახმად, ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნის, მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დადებისა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს პარტნიორთა კომპეტენციას.

შესაბამისად, გენერალური დირექტორის ცვლილების მიზნით შესაძლებელია ასევე წარმოდგენილი იქნას სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული უფლებამოსილი ორგანოს (პარტნიორთა კრების) მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

2. „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N797 ბრძანების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სუბიექტის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

3. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1), მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.